წელიწადი 1-ლი — ტელეფონი № 76. — ოთხშაბათი 3 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად [illegible] 2 საათ. 5 მ. [illegible] საათის შემდეგ [illegible] მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 19 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 19

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

1 მაისისთვის ახალი პროგრამა: ვნებანი სიმღერა სიყვარულისა და სიმწუხარის დრამა 5 მოქმედ. ცნობილ მსახიობთა თანამონაწილეობით.

ფ რ ა ნ ჩ ე ს კ ა ბ ე რ ტ ი ნ ი ს ა

1. განყ. მინდვრის ხუნდები. 2 განყ. ხუნდები სახელის მოხვეჭისა. 3 განყ. სიყვარულის ხუნდები. 4 განყ. ვნების ხუნდები. 5 განყ. სიკვდილის ხუნდები.
კუნძულ „კიუსიუზე“.

ელექტრო „ა მ პ ი რ“ თეატრი

ორშაბათ 1 მაისიდან გამოცხადებულ სურათის „კატასტროფა“-ს მაგიერ ნაჩვენები იქნება

მონობა ფუფუნებისა ბედნიერებაა ქალისა

დრამა 4 მოქ., რომელიც აგვიწერს დღევანდელ ოჯახის დაცემას
კარაპუზი შურს იძიებს შეგინებულ პატიოსნებისათვის სახუმარო.

# მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო!

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხუთშაბათს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე. ქალაქის თეატრში მართავს სასწრაფო კრებას იმ საკითხების გამოსარკვევად, რომელნიც შეეხებიან სამ-მილიარდიან

## „თავისუფლების სესხზე“

ხელის მოწერას. [illegible] სესხი, [illegible]მელიც თავის დანიშნულებით სრულიად შეეფერება თანამედროვე დიად მომენტს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს განახლებისას. იწვევს მხურვალე თანაგრძნობას მთელს რუსეთში და მის ყუშორეს. ნაკლებად კულტურულ განაპირა ადგილებში. გაზეთებს ყოველ დღე მოაქვს ამბები შესახებ იმისა, რომ ხელის მოწერა „თავისუფლობის სესხზე“ ყოველგან ჩინებულად მიმდინარეობს და დროებითი მთავრობის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიხარულოა, რომ ათასწლობით დამონებული რუსის ხალხი მზადაა გამოიღოს ყოველგვარი მსხვერპლი მოპოებულ თავისუფლებათა განსამტკიცებლად მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც.

### ქ. ქუთაისის და მთელი გუბერნიის მოქალაქენო!

დაამტკიცეთ. რომ თქვენც გამსცვალენით მიმენტის სიდიადით და მზადა ხართ ყოველგვარ სხვერპლისათვის დიდებული რევოლიუციის გამარჯვების დასამთავრებლად! ესწრაფენით „თავისუფლების სესხზე“ ხელის მოწერას; რომ ამით დროებით მთავრობას გაუადვილოთ მისგან ნაკისრი ძნელი საქმე.

ვისაც სურს დაწვრილებით გაეცნოს „თავისუფალების სესხის“ პირობებს და დარწმუნდეს, თუ რამდენად სასარგებლოა ის. მობრძანდეს ქალაქის თეატრში 4 მაისის კრებაზე.

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი, მ. ჩიქოვანი.

## ქუთაისი, 3 მაისი.

უკანასკნელ დღეებში ქუთაისის ქუჩებზე ისეთ ამბებს აქვს ადგილი, რომელნიც ერთის მხრით თავისუფლების სუფევაში იჭვს ჰბადებენ და მეორეს მხრით ხელს უწყობენ ბნელ, ძალებს თავისი მოქმედება გააძლიერონ.

ყველა პარტია და სარევოლუციო დაწესებულება მოვალეა ამ კითხვას დიდი სიფრთხილით მოეპყროს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თვით მომქმედნი პირნი სრულიად უდანაშაულონი არიან, რადგან მათ ვილაც ბოროტი სული ყოველს წუთში ჩასჩურჩულებს ყურში, ესა და ეს პარტია „შავრაზმული“ და „კონტრ-რევოლუციურია„. დღეს ათას გვარი ცილის წამების შეთხზვით ბნელი ძალები ერთი პარტიის წინააღმდეგ ამხედრებენ ხალხს, იმ ხალხს, რომელიც წმინდა სურვილით გამსჭვალული იცავს მოპოებულ თავისუფლებას, მაგრამ რომლის მოტყუილება, შეცდომაში შეყვანა დახელოვნებულ გაიძვერასათვის პროვოკატორისთვის, შესაძლებელია.

ხვალ-ვინ არის თავმდები-რომ ბნელი ძალები არ შეეცდებიან ჰამხედრონ ისინი მეორე პარტიის წინააღმდეგ და მთელი ხალხის წინააღმდეგ.

ესეც რომ არ იყოს, უპასუხის მგებლო მოქმედობა კერძო პირებისა სრულიად სპობს მნიშვნელობას მიღებული თავისუფლებისა და კანონიერებისა.

ჩვენ მოვალენი ვართ, დღესვე დავარწმუნოთ ფართო მასსა, რომ რწმენის, სიტყვის, კრების სრული თავისუფლება ხელშეუხებელია, რომ ამ თავისუფლების დამცველია ახალი მთავრობის ორგანიზაციები: აღმასრულებელი კომიტეტები, ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოები.

ამიტომ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ შეიკრიბოს აღმასრულებელი კომიტეტი ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოები და გამონახონ საშუალებანი საზოგადოების დასამშვიდებლად.

უპირველესად, ჩვენის აზრით, საჭიროა იმ პირების მონახვა, რომელნიც საშინელ ჭორებს ავრცელებენ და თავისი ცილის წამებით შეცდომაში შეჰყავთ რევოლუციისთვის თავდადებულნი პირნიც კი.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ცილის-მწამებელთ რაღაც ქვენა გრძნობა ამოქმედებს, და ამ მავნე მიზნის გამოაშკარავება და ფართო საზოგადოების თვალში მისი გაბათილება აუცილებელია.

კიდევ ვიმეორებთ, იმედი სწორედ კომიტეტებზე, ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებზე უნდა დავამყაროთ: მათ შეუძლიათ და მოვალენიც არიან ქალაქი დაამშვიდონ და კონტრ-რევოლუციის ქადაგებისთვის ნიადაგი მოსპონ.

ამ შეხლა-შემოხლამ უკვე ერთი ზიანი მოაყენა რევოლუციას: 30 აპრილს უნდა მომხდარიყო საუბნო კომიტეტების არჩევნები. ამ საუბნო კომიტეტებს რევოლუციის განმტკიცებაში და ახალი კანონიერების ცხოვრებაში შეტანით დიდი სარევოლუციო საქმე უნდა გაეკეთებია, მაგრამ 29 აპრილს მომხდარმა ამბებმა ხალხი იმდენად დააშინა, რომ ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაჰკარგა იმედი წესიერად არჩევნების [illegible]ლენისა და კიდევაც გადადვა იგი ჯერ გამოურკვეველ დროისათვის.

სასურველია „Голосъ Солдата“ მ და „სოციალ-დემოკრატმა“, როგორც ფართო მასსაში გავლენიანმა ორგანოებმა, განსაკუთრებულის ყურადღებით მოექცენ ამ კითხვას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ უკვე რამოდენიმე ნაბიჯი გადადგმული იქნა. სათანადო ორგანოებმა უკვე გამოსცეს შესაფერი მოწოდებანი, ხოლო ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა შეჰქმნას განსაკუთრებული დროებითი კომიტეტი, რომელსაც ევალება ზრუნვა ქალაქში წესიერების დასამყარებლად.

ყოველი შეგნებული მოქალაქე განურჩევლად პარტიისა და შეხედულებისა მოვალეა ხსენებულ კომიტეტს წესიერების დამყარებაში შეძლებისდაგვარი დახმარება აღმოუჩინოს.

---

## საქართველოს მთლიანობის სიმბოლო.

უფეროლად ჩაიარა 1 მაისმა.

ორიოდე დაწესებულებამ თუ იუქმა, ორი გაზეთი არ გამოვიდა და ორიოდე წერილი მოათავსეს გაზეთებში თამარის შესახებ.

უსამართლობა მოხდა.

თითქოს 1 მაისი, ვისიმე კერძო დღესასწაული იყოს, თითქოს ეს განახლებისა და ყვავილითა და მწვანით ქვეყნის მოსილობის დღე თამარს უძღვნეს, როგორც მეფეს.

შემცდარი აზრია!

ქართულმა ისტორიამ მრავალი სხვა მეფე იცის. ხალხის თქმულებაში მათი სახელიც დარჩენილა. უფრო ხშირათ ამ მეფეთა ვაჟკაცობას ამკობს ქართული ხალხური პოეზია.

თამარის სახელის ირგვლივ კი თანაბრის აღტაცებითა და ერთსულოვანობით იკრიბებიან ბრძენი და მემატიანე, ბერი და ერის კაცი, დღევანდელი მეცნიერი და საშუალო საუკუნოების მოხეტიალე მგოსანი.

ნუ თუ ასეთის თაყვანისცემის ღირსი იყო თამარ?

უეჭველია, ხასიათის მრავალი ღირსებით იყო შემკული მეფე—ქალი, მაგრამ შემდეგში მას გაუათასკეცეს ყოველი სიკეთე და ჩინებული ადამიანს ღვთაებრივობა, ზე-კაცობა მიაწერეს, ვინაიდან მასში გამოხატეს სიმბოლო სრულიად საქართველოს მთლიანობისა.

სიმბოლოდ თითქმის ყოველთვის მშვენიერი ქალის სხეულია გამოყვანილი.

ჭეშმარიტების სიმბოლოთ—ქალს ხატვენ ლამპრით ხელში.

უმანკოების სიმბოლოთ—იმავე ქალს, რომელსაც ვერ შეუგნია მშვენიერება თვისი.

გამარჯვების სიმბოლო—იგივე ქალია; სამართლიანობის, სიყმაწვილის, სილამაზის სიმბოლოა, მუდამ ქალი და ქალი...

და ქართველმა ხალხმაც თვისი შეკავშირების, შეერთების, მთლიანობის გამოსახატავათ აიყვანა ქალი, მეფე—ქალი, თამარ-მეფე. ისტორიული თამარ, შესაძლოა, არც კი ყოფილიყოს ისე წყნარი, ღვთისმოსავი, ლმობიერი გონიერი, მაგრამ შეიძლებოდა სიმბოლოთ მომხდარ ქმნილებას რაიმე კეთილი ჰკლებოდა?

ნეტავი თამარ მეფე არ ყოფილიყო! უფრო სასიქადულო იქნებოდა ჩვენთვის, რომ უბრალო მომაკვდავმა ხალხს ისეთი სამსახური გაუწია, რომ სამარადისოდ მისი გულის-ყური მიაქცია, ერის მთლიანობის სიმბოლოდ გადიქცა და გაღვთაებრივდა; უფრო მაგარი იქნებოდა ქვიტკირი შემდულებელი ერისა, მაგრამ ხალხმა ის ამოირჩია, ვინაიდან სხვა ვერ მონახა წარსულში. თუ მომავალში ვინმე გადააჭარბებს თამარის ნაღვაწ-ნაჭარმაგევს ხმა ერისა და მსჯავრი ისტორიისა მას გადასცემს საპატიო სახელს—ერის სიმბოლოთ ერის დროშათ ყოფნისას.

მაგრამ რა მოიმოქმედა თამარმა ასე დაუვიწყარი?

ის, რაც მის წინ და მის მერმე არ ყოფილა!

განათავისუფლა თამარმა ერი თვისი უცხო ტომის მონობისაგან? არა!! უცხო ტომის მონობისაგან განთავისუფლებას ისეა შეჩვეული ქართველი ერი, რომ ასეთს დიდს ისტორიულ ნაბიჯს სამარადისო ხალხურად აღარ ხდის...

შემოიტანა ახალი რჯული?

არა, საქართველო თამარის დაბადებამდის 8 საუკუნის წინ ეზიარა ქრისტეს მცნებას,

დაიპყრო ქვეყნები?

არც ამისთვის ჩაიბეჭდა ხალხი თამარის სახეს ხატათ...

არა, მან ის მოიქმედა, რაც დღესაც სანუკვარია საქართველოსთვის... მან შექმნა ერთი შედუღებული სულიერი განწყობილება სრულიად საქართველოისა... —გამთიშველი ძალები ალაგმა და საქართველოს მუდმივი სენი კუთხებრივი სარწმუნოებრივი წოდებრივი დაყოფა განკურნა სახელმწიფოებრივი კალაპოტში მოაქცია...

ეს ლუპავდა საქართველოს,
ეგივე ლუპავს დღეს...

და ვინც ამ უკურნებელ სენს დროებით მალამო დაადო, როგორ არ შეიქნებოდა სამაგალითო სათაყვანებელ თითით საჩვენე[?]ელ სიმბოლო ღვთაებათ... გავა დრო დავშოშმინდებით ოდნავ. ძველის „სიძულვილით და ზიზღით „კი არ დაუწყებთ შესწავლას, არამედ გაკვეთილის მისაღებათ და მაშინ 1 მაისობას, თამარის დღეობას ვიუქმებთ, და ვიზეიმებთ რათა მარად გვახსოვდეს რომ მრავალფეროვანი, მრავალ სარწმუნოებას მიმდევარი, მრავალპარტიებათ დაყოფილი საქართველო შეადგენს ერთს განუყოფელსაქართველოს რომელიც ახლდება მუდამ, როგორც ბუნება გაზაფხულზე.,.

და ასეთის მთლიანის საქართველოს სიმბოლო თამარ—ბრწყინვალეთ მოგვევლინება....

ნ. ლორთქიფანაძე.

## კოალიციური სამინისტრო.

რევოლუცია ახალ საფეხურზე სდგება. პირველი მისია მან უკვე შეასრულა; რღვევის პროცესი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. აწ რევოლუციას ეჭირვება შემოქმედება... ახლა საჭიროა ახალ სახელმწიფოს შენობის აგება. ეს კი მოითხოვს საერთო თანამშრომლობას და კოორდინაციას. დღეს რუსეთს ფაქტიურად განაგებს ორი ორგანო, სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ზომიერთ ელემენტებისგან შესდგება და მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც ფართე მასის ინტერესების გამომხატველი არიან. დროთა მსვლელობაში რევოლუციურ მმართველობის ამ ორგანოთა შორის უთანხმოება იბადება. უკანასკნელი კონტროლს უწევს პირველის ყოველ მოქმედებას. მაგრამ კონტროლის გაწევა ტეხნიკურ სიძნელეს ჰქმნის დროებითი მთავრობის მუშაობისთვის და გარდა ამისა იგი არ იძლევა ხსენებულ ორგანოთა შორის მუდმივ საჭირო თანხმობის გარანტიას. შეიძლება კონტროლის ქვეშ მყოფმა დროებითმა მთავრობამაც ისეთი ნაბიჯი გადასდგას, რომელიც მუშათა საბჭოს თვალთა ხედვით მავნე იქნება, რაც წარმოშობს დავას. რომელიც მეტად საშიშია სახელმწიფოს და რევოლუციის თანამედროვე მდგომარეობისთვის.

რა სჯობია? ორი მთავრობა, რომელთა შორის შეთანხმებული მუშაობა ყოველთვის საეჭვოა, თუ სახელმწიფოს მმართველად ერთ მთავარ ორგანოს შექმნა, რომელსაც—უნდა დაემორჩილოს ყველა სხვა ორგანოები?

ამ დიდ კითხვას რუსეთში კოალიციურ სამინისტროს შედგენით სჭრიან. კოალიციურ სამინისტროში შევლენ ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები. ესენი საერთოდ განიხილავენ ყოველ კითხვას და მის შესახებ საერთო გადაწყვეტილებას გამოიტანენ. ასეთი სამინისტროს მოქმედება იგივე ხალხის მოქმედება არის და ხალხი უზრუნველყოფილი იქნება მოსალოდნელ კომფლიქტებისგან და რევოლუციის საქმეც უფრო ძლიერის მუშაობით წავა.

კოალიციური სამინისტრო რუსეთის სახელმწიფოს არსებულ მდგომარეობისთვის აუცილებელია. ასეთ სამინისტროს შეუძლია საჭირო შეთანხმების შექმნა.

კოალიციურ სამინისტროში აუცილებლად საჭიროა აგრეთვე შევიდენ ეროვნებათა წარმომადგენელნიც. ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. დღეს ეროვნული კითხვა რუსეთში მეტად მწვავედ სდგას. ეროვნული მოძრაობა თვით

---

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ქუთაისი 3 მაისი.
ნ. ლორთქიფანიძე—საქართველოს მთლიანობის სიმბოლო.
ი. იმერელი—კოალიციური სამინისტრო.
ქართული პრესა.
მიმდინარე მომენტი.
განსაკუთრებული კანონები.
ა. ხარატიშვილი—მომავალი ეროვნული სკოლის კითხვა.
საპროტესტო დეპეშები.
სიმონიკა—საადღეისო. (ფელეტონი)

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. რუსეთი. უცხოეთი.
მსოფლიო ომი.
ეროვნული კითხვა, ცნო[illegible]ჯარის კაცთა შესახებ.
კავკასიის ფრონტის წარმ[illegible]ლ. ყრილობა.
ახალი ამბავი.

უმნიშვნელო უისტორიო ხალხებშიც გაძლიერდა.

ამ რთულსა და ძნელად მოსაგვარებელ მოძრაობას კოალიციურ სამინისტროში თავისი წარმომადგენლები და დამცველები უნდა ჰყავდეს, რადგან უამისოდ ეროვნულ მისწრაფებათა შეთანხმება. როგორც ერთმანეთში ისე საერთო სახელმწიფო ინტერესებთან შეუძლებელი ან მეტად საძნელო იქნება, ხოლო ასეთი არევ-დარევისა და შეუთანხმებლობის მოსპობა შეადგენს იმ მიზანს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს კოალიციური სამინისტრო.

ი. იმერელი.

## ქართული პრესა.

1 მაისი დიდებული დღესასწაულია ქართველი ერისა. ეს დღე ჩვენი გამაერთიანებელი თამარის დღე არის. ღვაწლი თამარისა დაუფასებელია სამშობლოს წინაშე. მან შეჰქმნა ძლიერი საქართველო, მან გაახარა ჩვენი დიდებული კულტურა. გაზ. „საქართველოში" ასე სწერს გრ. ვეშაპელი: „თამარის დღე სიმბოლოა გაერთიანებულ ქართველ ერის კულტურისა და სახელმწიფოებრივობის თავისუფალ არსებობისა". შემდეგ მოჰყავს ჩვენი სოციალ-დემოკრატების ლიდერის ნოე ჟორდანიას-ქართველთა პლეხანოვის-ნაწერებიდან, 1894 წლის „ივერიაში" რომ იყო მოთავსებული, შემდეგი ადგილი:

„... დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს საქართველო ერთი პოლიტიკური ცხოვრებით სტკბებოდა, საერთო ისტორიულ უღელს სწევდა, მტერს ერთად მტრობას უწევდა და მოყვარეს მოყვარობას. მაგრამ სუყველა ეს დროებითი, წარმავალი იყო მხოლოდ იმისთანა მშრომელ, მხნე და გამჭრიახ მეფეთ, როგორც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეერთებინათ მთელი ქართველობა. მოშორდნენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაშინვე დაირღვა ერთობა და გაჰქრენ საქმენი მათი მიერ დაწყებულნი... მიუხედავად ამისა, ღვაწლი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა დაუფასებელია საქართველოს წინაშე; პირველად ამათ დათესეს თესლი ქართველთა „ერთობისა", („ნაწერები" გვ. 20—21 და სხვაგან).

## განსაკუთრებული კანონები.

გაზ. „რეჩი" მეტად საყურადღებო კითხვას ეხება თვის ერთ-ერთ მეთაურში. აღნიშნავს რა ძველი რეჟიმის დამღუპველ მოქმედებას საზოგადოთ, კერძოთ ეგრ. წოდ. „განსაკუთრებულ კანონებს," ის სწერს:

„მთავრობისადმი სიძულვილი, ფართო ნიაღვარივით რომ მოედვა მთელი რუსეთის მიწაწყალს და ყველა კლასებს, უმთავრესად ამ განსაკუთრებულ კანონებით იყო გამოწვეული, რომელნიც სწორედ საზოგადოებრივი წესიერებისათვის იცემოდა ხოლმე."

შემდეგ გაზეთი ახალ წყობილებას ეხება და მის დაცვისაკენ მოგვიწოდებს, ხოლო არა ისეთი საშუალებით, როგორც ძველი რეჟიმი სჩადიოდა მოწინააღმდეგეთა ასალაგმავად, არამედ უფრო კულტურულისა და დემოკრატიული საშუალებებით. გაზეთის აზრით შეუწყნარებელია იმ ინსტიტუტების აღდგენა, რომელნიც სასამართლოსა და კანონისადმი უნდობლობაზე ემყარებოდენ.

გაზეთი ეხება იმ კანონპროექტს, რომელმაც უნდა გააუქმოს განსაკუთრებული კანონები და სწერს, რომ ეს პროექტი მეტად წააგავს შინაარსითა და დედააზრით ძველი მთავრობის იმ კანონებს, რომელთა გაუქმებაც არის ეხლა განზრახული. გაზეთი არ ეთანხმება პროექტს რადგანაც მისი აღსრულება კანონის ძალით კი არ მოხდება, არამედ იმ თვალსაზრისით, რომელსაც იქონიებს დამნაშავეზე ესა თუ ის მოქალაქე. გაზეთი გადაჭრით უარჰყოფს ყოველგვარ გადასახლებასა და ადმინისტრაციული დატყვევების მიზანშეწონილებას და ასე დაასკვნის მეთაურს:

„დიდია ის საფრთხე, რომელიც ახალ მთავრობას მოელის, მაგრამ ამ საფრთხის თავიდან აცილება ისეც კი შეიძლება, რომ ძველი რეჟიმის სპეციფიური თვისებანი არ განმეორდეს, როგორიც არიან ადმინისტრაციული დატყვევება, გადასახლება „დანიშნულ ადგილზე" და სხვა ზომები წესრიგის დაცვისა."

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**სოციალ-დემოკრატთა კონფერენცია**

**ხარკოვი.** აპრილის 26. აქ დაიწყო ოლქის კონფერენცია; მონაწილეობს 20 პარტიული ორგანიზაცია.

**პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები და ჯარის კაცნი.**

**იასსა.** აპრილის 26 ჩამოვიდნენ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები და ჯარის კაცებს და აფიცრებს მიმდინარე საქმეთა ვითარება და ხალხის არმიის თანამედროვე ორგანიზაცია გააცნეს. მსმენელებმა დიდი ტაშით დააჯილდოვეს მოლაპარაკენი და მადლობა გადაუხადეს ჩამოსვლისათვის.

**„მენშევიკები" და შრომის საკითხი.**

**კიევი.** აპრილის 26. სოციალ-დემოკრატ მენშევიკების საოლქო ყრილობამ სურვილი გამოსთქვა ფაბრიკა-ქარხნებში დაარსდეს შემარიგებელი კამერები, განისაზღვროს ქალთა და ბავშვთა შრომა და, რადგან საქმე ნაკლებად იშოვება, აიკრძალოს მუშა ჩინელთა მოწვევა. ყრილობამ დაადგინა არა სპეციალისტი სამხედრო ტყვეები მინდვრებში ამუშაონ და ყველგან შემოღებულ იქმნეს შრომის ბირჟები.

**არქიეპისკოპოზ იოაკიმეს წასვლა.**

**ნიჟნი ნოვგოროდი.** აპრილის 27. არქიეპისკოპოსი იოაკიმე, მოთხოვნილებისაებრ და სხვადასხვა ექსცესების თავიდგან ასაცილებლად, ნოვგოროდიდან წავიდა.

**სამღვდელოების ყრილობა.**

**ტამბოვი.** აპრილის 27. ეპარქიის სამღვდელოების ყრილობა დასრულდა. დადგენილია მოითხოვონ ომი გამარჯვებამდე და ყოველგვარი დიქტატურის მოსპობა.

**სოციალისტ-რევოლუციონერთა კონფერენცია.**

**ეკატერინოდარი.** აპრილის 25. სოციალისტ-რევოლუციონერთა კონფერენციაზე გარდასწყვიტეს. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ლიკვიდაციისათვის გამართონ მოლაპარაკება მთელი ქვეყნის სოციალისტებთან. დაარსდეს ყაზახთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო.

**საზღვარ-გარედ მყოფ რუს პროფესორთა თხოვნა.**

**ციურიხი,** აპრილის 26. რუსის 40 პროფესორმა, რომელნიც შვეიცარიის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში პროფესორობენ სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს მიმართეს, რუსეთის უნივერსიტეტების პროფესორებად მიგვიღეთო.

**გადასახლებულ გერმანელთა დაბრუნება ახალშენებში.**

**ჟიტომირი,** აპრილის 26. გერმანელი მოახალშენეები თავის ახალშენებში ბრუნდებიან; გლეხები მათ ხშირად ეჩხუბებიან.

**გადასახლების გაუქმება.**

**პეტროგრადი,** აპრილის 26. დროებითი მთავრობის დადგენილებით გადასახლება გაუქმდა. სხვა ადგილებში საცხოვრებლად გადასახლება, როგორც სასჯელისა მოსპობილია. გადასახლების მაგიერ ციხეში დაპატიმრება უნდა იქნეს შემოღებული არა უმეტეს სამი წლისა.

იმ გადასახლებულთ კი, რომელთაც მთელი ქონება ჩამოერთმევათ, გადასახლების მაგივრად გაჰგზავნიან ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში 4—6 წლით, უფლებათა და ქონების ჩამორთმევით. კატორღა და საკატორღო მუშაობა ამიერიდან სრულებით უნდა გაუქმდეს.

**მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა გამგეობაში.**

**პეტროგრადი.** აპრილის 26. "თავადი ლვოვმა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ჩხეიძეს დეპეშით შეატყობინა, აცნობოს საბჭოს წევრებს, რომ მართველობის შემადგენლობის გასაფართოვებლად საჭიროა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების აქტიური მუშაობა. გამოქვეყნებულია მინისტრ-თავმჯდომარის თავად ლვოვის წერილი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს მიმართ, ლვოვი ამ წერილით როძიანკოს ატყობინებს რომ საპასუხისმგებლო მუშაობაში მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებს მოვიწვევთო. ესენი სახელმწიფოს მართვა გამგეობაში დღემდის არ მონაწილეობდნენ.

**ოდესა.** 24 აპრილი. გავრცელებული ხმების თანახმად, რომ მოსალოდნელია მტრის მფრინავების თავდასხმა, ქალაქის უფროსმა გამოსცა მოწოდება სადაც იგი აფრთხილებს მცხოვრებლებს, რათა დროით მიიღონ სათანადო ზომები თავის დასაფარავად.

**ხვნა-თესვის საქმე.**

**სამარა.** 28 აპრილი. ჯარის-კაცთა დათხოვნამ მთელს გუბერნიაში ხვნა-თესვის საქმე სავსებით მოაგვარა. მიწის კითხვის შესახებ უწესოებას ადგილი არ ჰქონია. გასულ წლებში შენახულ პური ბლომად ეგზავნება ჯარს.

**ცვლილება სამხედრო საკრებულოში.**

**პეტროგრადი,** 28 აპრილი, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტროში განცხადება შემოაქვთ ცვლილება შევიტანოთ სამხედრო ბეგრის მომხდელთა შემამოწმებელ სამხედრო საკრებულოებში, ამიტომაც დაადგინეს: ახალ რადიკალურ ცვლილებათა გამოცხადებამდის სრულ უფლებიანად დარჩება ძველი შემადგენლობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამხედრო საკრებულოს სხდომებს რაიმე მიზეზით თავადაზნაურობის წინამძღოლი არ დაესწრო, მის ადგილს სამაზრო კომისარი დაესწრება. სამაზრო ისპრავნიკის ან მაზრის უფროსის და პოლიციის მოხელის ნაცვლად სხდომებს დაესწრება სამაზრო კომისარის მიერ დანიშნული პირი, რომელსაც სათათბირო ხმა მიეცემა. სამაზრო საკრებულოში შევლენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**პეტროგრადი.** 28 მარტი. საღამოს გაზეთები იუწყებიან: პეტროგრადს მობრუნდა აღმას. კომიტ. წევრი კარლო ჩხეიძე. რომელიც შლისენბურგს იყო საგანგებოდ წარგზავნილი. ჩხეიძემ განაცხადა, გაზეთებს შეცდომაში შეუყვანივართ, შლისენბურგს თავისი დამოუკიდებლობა უღიარებიაო. არ უღიარებია და არც სიტენკოს უთქვამს უარი კომისარობაზეო.

—- როდესაც ოთხივე სათათბიროს დეპუტატების საზეიმო სხდომა იყო, სახელმწიფო სათათბიროს შენობაში შემოვარდა ვიღაც ნახევრად გიჟი უცნობი—მან მოკვლა დაუპირა ა. კერენსკის, უცნობი შეიპყრეს. მას თანა ჰქონდა რაღაც ასაფეთქებელი მასალა. უცნობი დააპატიმრეს და ნიკოლაევის საავადმყოფოში გაგზავნეს.

**მუშათა საბჭოს განცხადება**

**პეტროგრადი.** 28 აპრილი. მუშათა და სალდათების დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა: ამ უკანასკნელ ხანს ჩვენის სახელით იკავებენ სადგომებს და ბინებს. ზოგჯერ ისინი თავს ანაქირსტებად ნათლავენ. ვაცხადებთ, რომ აკრძალულია თვითნებობა და კერძო საკუთრების ძალით წართმევა, ეს დამღუპველი იქნება რევოლიუციისათვის და პროვაკატორები არიან, ვინც ამისათვის მოუწოდებენ. ყველანი ესენი კონტრ-რევოლიუციონერები არიან და რევოლიუციის მოწინააღმდეგენი.

## მსოფლიო ომი.

(პ. დ. ს.)

**მთავარი ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** 29 აპრილი, ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ჩვეულებრივი სროლა, მზვერავთა და მფრინავთა თარეშია. ნაროჩის ტბის სამხრეთით, სოფ. სტახოვცის რაიონში, მოპირდაპირემ მოშხამული გაზით იერიში მოიტანა.

**რუმინიის ბრძოლის პირი.** სროლა და მზვერავთა თარეშია.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** 27 აპრილს ოსმალთა 3 როტამ და ქურთების რამდენიმე რაზმმა შეტაკება იწყეს ეფრატის ორივე ნაპირით ჴერძინჯანის სამხრეთ-დასავლეთით, კელერ-კამის გადასავალის რაიონში. შეტევა შევაჩერეთ. სენესა და პენჯვინის შუა, გორანის გადასავალის რაიონში ჩვენმა ჯარმა 25 აპრილს ღამით დაიპყრა მოპირდაპირის პოზიციის ნაწილი; 25 აპრილს ბრძოლა კვლავ სწარმოებდა და კიდევ დავიპყრეთ მოპირდაპირის პოზიციის ერთი ნაწილი, მაგრამ დაღამებისას მოპირდაპირემ ჯარი გააძლიერა და ჩვენი ჯარი იძულებული გახდა პირვანდელ პოზიციაზე გადასულიყო. 26 აპრილს ჩვენი ჯარი მდ. დიალას გავიდა მეიდანთან და გასწია კიფლისაკენ. 27 აპრილს ღამით ჩვენი ჯარი ბრძოლით გავიდა იმავე მდინარეს ჯუმორისა და ომარაგას შუა.

**პეტროგრადი.** 30 აპრილი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის, ავსტრიის და რუმინიის ბრძოლის პირებით სროლა, მზვერავთა თარეში და მფრინავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** გიუმიშხანის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალების ერთი როტა შეტევას შეეცადა მაგრამ სროლით მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** დაბა ნალიბოკის რაიონში (ნოვოგრუდის მიმართულებით) დაეშვა გერმანიის ჰაეროპლანი; მფრინავები დავატყვევეთ. მონასტერჟისკოს რაიონში გაურკვებარ მიზეზის გამო 3200 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა ჩვენი საჰაერო გემი „ილია მურომეცი", დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი ლავროვი, ოთხი ოფიცერი და ერთი ჯარის კაცი. სტანისლავოვის რაიონში ჩამოვარდა და დაიმსხვრა ჩვენი ჰაეროპლანი; მფრინავები პრაპორშჩიკი კაჩიონი და პორუჩიკი პესინო დაიღუპნენ.

## სადღეისო.

განახულებათ მუხა, დიდი მუხა, ფრთა—გაშლილი, ძლიერების განხორციელება. მის არე-მარეზე მცენარეობა დაჩაგრულია, დაჩრდილულია. მიდის დრო და მის ქვეშე მყოფთათვის შველა არსაით სჩანს, მაგრამ ამ ძლიერებას თურმე დიდიხანია მატლი გასჩენია და ისე გამოუფიტავს, რომ საკმაო შეიქნა ერთი გრიგალის წამობერვა, რათა ეს უზარ-მაზარი, არე-მარის სიამაყე ერთ ლამაზ დილას დამხობილიყო. აუწერელი იყო მხიარულება, ალტაცება არე-მარესი, ცხოვრების მომგვრელი მზე დაინახეს, წმინდა, თავისუფალმა ჰაერმა შრიალით გადაუქროლა დაჩაგრულსა, მიმქრალს მცენარეობას. გაცოცხლდა არე და ალტაცებით ჰიმნს უმღერს თავისუფლებას. დიახ, ჩემო მკითხველო, საუკუნოების ძლიერება, თითქმის 200,000,000-ის მბრძანებელი დაემხო, და როგორი მბრძანებელი! როდესაც მოისურვებდა რამოდენიმე მილიონი მის ბრძანებას უცდიდა, რომ მტერი დაემუსრა, ან თვითონ განადგურებულიყო... ამ ძლიერებას იგი ხმარობდა, შინაურების დასაჩაგრავათ, რომ მით თავისი ტლანქი ძლიერება უზრუნველ ეყო.

დაემხო სრულიად რუსეთის სულისმხუთავი, თვითმპყრობელი ნიკოლოზ მეორე, ველარ იხილავს ვერც ის და ვერც გვარი და შთამომავლობა მისი იმ ძლიერების კვერთხს, რომელიც მათ ხელთ ეპყრათ ამოდენი ხანი.

დღეს დაჰბერა ახალმა ქარმა, თავისუფლად ამოისუნთქა რუსეთის საზღვრებში მყოფმა ერებმა, მათ შორის ქართველობამაც. თუ ვისმე უგრძნია თვითმპყრობლების ძლიერების უსამართლობა, ძალმომრეობა, ეს ყოველისფერი წილად ხვდა ამ პატარა ერსაც, თვითმპყრობელობამ რუსეთისამ რომელსაც ჩვენმა წინაპრებმა თავი შეაფარეს, ჩაილულის—მივიწყების, წყალს მისცა ის პირობები, რომელნიც ჩვენ შორის სუფევდა, და ჩვენ კი ყოველ მხრივ გვდევნიდა; ენა მოგვისპო, სამღვდელოება-გააბიუროკრატა, სასოება ხალხში გაჰქრა, ერთი სიტყვით გადაგვარების გზაზე შეგვაყენა.

ცუდი დრო დაუდგა ქართველობას რუსეთის თვითმპყრობელ მტარვალთა ხელში. თუ სადმე კი გამოჩნდებოდა ეროვნული თვითგამომეტყველება, გაზეთი იქნებოდა ის, შკოლა, წიგნთსაცავი, თუ სხვარამე დაწესებულება, მაშინვე უსასტიკესი ზომები იყო მიღებული, რომ არა თუ გაენადგურებიათ ნაშრომი, სურვილიც კი კეთილი საქმისადმი აღმოეფხრათ გულის სიღრმიდან, რომ შემდეგში არ განმეორებულიყო... ბევრი სიმწარე გვახსოვს წარსულიდან...

მით უფრო ტკბილია უეცარი ბედნიერება-თვითმპყრობელობის სამუდამოდ დამხობა და ახალი, თავისუფალი, ცხოვრების აყვავება. ყოველ ერს, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელს, ეძლევა სრული შეძლება და თავისუფლება განავითაროს თავისი ნიჭი, გამოარკვიოს თავისი ეროვნული სახე და მით შეიტანოს კაცობრიობის საერთო კულტურულ სალაროში თავისებური წვლილი.

ეს ყოველისფერი კარგი, იკითხავს მკითხველი, მაგრამ ჩვენი, ქართველების, საქმე, როგორაა? მოვესწრებით რამეს?—

საოცნებო საქმე მოხდა. ვინ იფიქრებდა, რომ პეტროგრადიდან თავისუფლებას მოგვაწვდიდენ, გვეტყოდენ, იცხოვრეთ და განვითარდით, როგორც გინდათო? თითქოს განგებამ ამხილა რუსეთს მისი უსამართლობა ქართველობისადმი და ზღაპრული შეძლებულობით რუსეთის შემოქმედებითი ძალა ჩვენთვის სასიკეთოდ გადაქმნა. მაგრამ... ამასთანავე ვინ წარმოიდგენდა, ღმერთო ჩემო! თუ მოწოდებულ ბედნიერებაზე ქართველ ხალხში ვინმე უარს იტყოდა და ეს მაშინ, როდესაც სხვა ერები ავტონომიას მოითხოვენ. ჩვენში გამოჩნდნენ ისეთნიც, რომ უმეცარ ხალხს არწმუნებდენ თითქოს ავტონომია ნიშნავდეს ბატონყმური წესწყობილების აღდგენას და რუსეთის სახელმწიფოსგან ჩამოშორებას. ამბობენ, ქართველი ხალხის ნაკლულოვანებას შეადგენს ერთი-მეორესთან უთანხმოება, კინკლაობა. ასე ყოფილა ძველადაც: ქართლი კახეთზე მიდიოდა საომრათ, კახეთი ქართლზე, ეს უკანასკნელი იმერეთზე, გურია და სამეგრელო მუდამ გადაკიდებული იყვნენ. ერთი-მეორის გაფუჭებაში, „შენც წახდი, მეც გამაფუჭე"-ში ვკარგავდით დროს და კიდევაც გავფუჭდით ისე, რომ საუკუნოები მიდის და ჩვენ მაინც ვერ ჩავდექით ეროვნულ ცხოვრების კალაპოტში, დღეს, როდესაც შემთხვევა გვაძლევს შვებას გამოვიდეთ ჩვენს ეროვნულ შარა გზაზე და თავისუფლათ ამოვისუნთქოთ, ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ეროვნულ-პოლიტიკურ თვითმმართველობის მოთხოვნაში მხარს არ გვიჭერს. რა დააშავა ჩვენმა სამშობლომ, რომ მისი ავტონომია, თვითმართველობა, ყელში გაღგომიათ.

ავტონომიური წესწყობილება რუსეთის მფარველობის ქვეშ ნამეტანი დიდი ბედნიერებას შეიცავს საქართველოსათვის. ქართველ ერს თავისუფლათ შეეძლება ამოისუნთქოს ეროვნულათ, არავინ მას ხელის შემშლელი არ ეყოლება, ყოველი მოთხოვნილება მისგანვე იქმნება დაკმაყოფილებული. არ შევუდგები აქ დაწვრილებით ახსნას, თუ რას წარმოადგენს ავტონომიური მართვა-გამგეობა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს საზოგადო საქმეების იმისთანა მართვა-წარმოებაა, როგორიც სუფევს კარგათ დაყენებულს ოჯახში, სადაც კარგი მეოჯახე ადამიანი მართავს ოჯახს სრული თანხმობით ოჯახის სხვა წევრებთან.

ავტონომიური წესწყობილება, იმისანა პირობებს აარსებს, რომელთა შემწეობით განსაკუთრებით პროლეტარს, მუშა ხალხს, დაბეჩავებულს, დაჩაგრულს, ეძლევა საშვალება გასწორდეს წელში. ეს წესწყობილება ერთათ ერთი ხსნა არის იმისანა დაჩაგრული ერისათვის, როგორიც დღეს ჩვენი ერია.

ავტონომიური წესწყობილება, როგორც თვითმართველობა, სხვა და სხვა გვარია შეზღუდული უფლებებით და სრული უფლებებით სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში, ამისათვის, რაც უფრო ადრე შევუდგებით შეერთებული ძალით ჩვენ მომავალ ბედ-იღბალზე ფიქრს და შევიმუშავებთ მომავალ ჩვენს ავტონომიის გეგმას. რომ მომზადებული შევხვდეთ დამფუძნებელ კრებას მით უკეთესია. ეხლა არაფერ უთანხმოებას ჩვენ პარტიათა შორის ადგილი რა უნდა ჰქონდეს. ამას დღეს უნდა გრძნობდეს დიდათ წამებული გონიერი ქართველი კაცის გული. დამფუძნებელ კრებას, რომ მოუმზადებელი დავხვდეთ, შესაძლოა სთქვან, ესენი მოუმზადებელნი ყოფილან და აპეკუნს საჭიროებენო, დაგვინიშნონ ცალკე მმართველი და ამით გაათავონ საქმე. დავფიქრდეთ?.. ნუ შევალევთ ჩვენს ძალღონეს პარტიულ კინკლაობას, პარტიულ ჟინს, ნუ დავკარგავთ დიდებულ დროს. ბოლოს ხალხი შეიგნებს, რაშია საქმე, ვინ არის მისი კეთილი მრჩეველი და საითკენ უნდა იყოს მიმართული მისი ძალა და ყურადღება. საჭიროა დროზე მოვიდეთ გონს. შეხედეთ ჩვენს მეზობლებს, ყველა ემზადება...

სიმონიკა.

ბიბლიოთეკა

# საპროტესტო დეპეშები

## გაგზავნილი საქართ. საისტ. საეთნ. საზოგადოებისგან

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ-დ ლვოვს**

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება აფასებს რა იმ დიდ კულტურულ-პოლიტიკურ როლს, რომელსაც ქართული-ეკლესია ასრულებდა საქართველოსა და რუსეთის ცხოვრებაში, მძაფრ პროტესტს აცხადებს კომისარ ბენეშევიჩის მოქმედების გამო, რომელიც სცდილობს საქართველოს ეკლესიას თავს მოახვიოს ანტი კანონიური უტერიტორიო ავტოკეფალია. საქ. საისტ. საეთნოგრ. საზოგადოება დაბეჯითებით მოითხოვს დაუყონებლივ აღდგენილ იქმნას საქართველოს ეკლესიის ყველა უფლებრივი კანონები, რომელნიც თვითმპყრობელურმა მთავრობამ უდიერად ფეხ ქვეშ გათელა.

თავმჯდომარე **ტრიფონ ჯაფარიძე**.

პირი ამ დეპეშისა ეგზავნება სინოდის ობერ პროკურორს ლვოვს, გაზ. „პეტროგრადის უწყებებს“ და „რუსკაია ვოლია“ს.

**პროფესორ ბენეშევიჩს.**

საქართველოს საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოება მხურვალე პროტესტს აცხადებს იმ განზრახვაზე, რომ თქვენ მოიწადინეთ საქართველოს ეკლესიისთვის თავს მოგეხვიათ ანტი კანონიური უტერიტორიო ავტოკეფალია.

საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება დაბეჯითებით მოითხოვს აღდგენილი იქმნას თვითმპყრობელობისაგან უდიერად გათელილი საქართველოს ეკლესიისკანონიერი უფლებები.

თავმჯდომარე **ტრიფონ ჯაფარიძე**.

პირი ამ დეპეშისა გაეგზავნა. გაზ. „საქართველოს“, „ვოზროჟდენიე“ს „სახალხო ფურცელს“ და „ერთობას„ს.

**საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს.**

„საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას სწამს, რომ თქვენ საქართველოს კათალიკოსის ნაცვალი ენერგიულის ღონის-ძიებით დაიცავთ ივერიის ეკლესიის კანონიურ ტერიტორიულ ავტოკეფალიას.

თავმჯდომარე **ტრიფონ ჯაფარიძე**.

გაგზავნილი საქართველოს ეროვნულ დემოკრატ მოწაფეთა და სტუდენტთა კონფერენციის მიერ.

**ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა, განურჩევლად სქესისა, შეერთებული კონფერენცია სალამს უძღვნის ივერიის ეკლესიის გათელილ უფლებათა აღდგენის აქტს და თქვენს მეუფებას, როგორც საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორი დამცველი იყავით საქართველოს ეკლესიის კანონიურ უფლებათა, რომელთა მიმართ ბევრი რამ ბოროტი იქნა ჩადენილი. სცნო-რა ბენეშევიჩის გამოსვლა მსოფლიო კრების კანონიურ დადგენილებათა შეუფერებლად, კონფერენცია გულისწყრომას უცხადებს მის მოღვაწეობას და მოგიწოდებთ თქვენ ღირსეულად დაიცვათ თქვენდამი რწმუნებული ეკლესიის კანონიური უფლებები.

**ობერ-პროკურორ ლვოვს.**

საქართველოს ეროვნულ—დემოკრატიულ მიმართულების უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა, სქესის განურჩევლად, შეერთებულმა კონფერენციამ პროფესორ ბენეშევიჩის გამოსვლა საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორიალობის შესახებ მსოფლიო კრების კანონიურ დადგენილებათა შეუფერებლად იცნო. აცხადებს რა თავის უკმაყოფილებას ბენეშევიჩის წინააღმდეგ, კონფერენცია მოგმართავთ წინადადებით ყურადღება მიექცეს თქვენი სახელით მომქმედ პირთა, კანონის შეუფერებელ, გამოსვლას და აგრეთვე კათოლიკე ივერიის ეკლესიის სამართლიან მოთხოვნებს.

**ბენეშევიჩს:**

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა სქესის განურჩევლად, შეერთებულმა კონფერენციამ, თქვენი გამოსვლა საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორიალობის შესახებ მსოფლიო კრების კანონიურ დადგენილებათა შეუფერებლად იცნო. გიცხადებს რა თვის უკმაყოფილებას თქვენი მოქმედებისა გამო, კონფერენცია მოითხოვს შეცდომის გასწორებას, რომელიც დაშვებულ იქმნა საქართველოს ეკლესიის კანონიერ მოთხოვნათა მიმართ.

# ახალი ამბავი

**მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან.** მოქალაქენო! ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებულ საჩქარო სხდომამ 30 აპრილს დაადგინა: შექმნას განსაკუთრებული დროებითი ხელმძღვანელი, განკარგულებათა კომიტეტი, რომელშიც შედიან:

პრაპორ. სტარცევი, ჯარის კაცები გოლდმანი და სამუსოვი და მუშათა წარმომადგენლები გრ. ურატაძე და ნიკ. ჰუმბურიძე.

კომიტეტს გადაეცა სრული უფლება ყოველგვარ უწესოების მოსასპობათ და მშვიდობიანობის დასამყარებლათ ქალაქსა და მის მიდამოებში. ქუთაისის მოქალაქეთ მოუწოდებთ დაიცვან სრული მშვიდობიანობა და უყოყმანოთ დაემორჩილონ ამ კომიტეტის ყოველგვარ დადგენილებებს და განკარგულებებს. კომიტეტს მუდმივი ბინა აქვს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოში.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**ქუთაისის დროებითი კომიტეტისაგან.** მოქალაქენო! უკანასკნელ ხანებში ქალაქში ხდება კერძო პირთა თვითნებური გამოსვლები, რასაც შიში და არეულობა შეაქვს ნორმალურ ცხოვრებაში. ყველა ამას დამღუპველი გავლენა აქვს რევოლიუციის საქმეზე, რადგანაც ქმნის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისთვის სამოქმედო ნიადაგს. მოქალაქენო! ვისთვისაც ძვირფასია სისხლით მოპოებული თავისუფლება, იგი მთელი თავისი ძალ ღონით უნდა ეცადოს დაიცვას ქალაქში წესრიგი და მშვიდობიანობა. წესრიგის დასამყარებლათ დროებითი კომიტეტმა დაადგინა: 1) დროებით აიკრძალოს ყოველგვარი შეჯგუფება ქუჩებში. 2) არ მოხდეს არავითარი გამოსვლები კერძო პირებისა და ჯგუფების წინააღმდეგ. 3) სასტიკათ აიკრძალოს ღვინის გაყიდვა. 4) აიკრძალოს ქუჩებში მთვრალების გამოსვლა. ამ დადგენილების დამრღვეველნი სასტიკ პასუხისგებაში მიეცემიან. კომ. მიიღებს ზომებს, რომ საჩქაროთ დაიჭირონ ყველა პროვოკატორები და ახალი წყობილების წინააღმდეგ გამოსვლების მომწყობნი. ყოფილ ჟანდარმების, პოლიციელების, დეზერტირების და ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც სამხედრო სამსახურს ემალება მიღებულ იქნება მკაცრი ზომები.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭოს დროებითი კომიტეტი.

**ოტტო ბაუერს თბილისში იწვევენ** თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა თხოვნით მიმართოს პეტროგრადის მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ოტტო ბაუერი (ავტორი მეცნიერული შრომისა ,,ეროვნული კითხვა და სოციალ-დემოკრატია) რომელიც ამჟამად თურქესტანში სამხედრო ტყვეთ იმყოფება, თბილისს იქმნას გადმოყვანილი.

**ი. ჭავჭავაძის ნაწერები გერმანულად.** ქართულის მცოდნეს, მიუნ ხენის ეტნოგრაფიულ მუზეუმის მდივანს დოქტორ ა. დირს გერმანულად გადაუთარგმნია ი. ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობი‘‘ და ,,კაცია ადამიანი?‘‘ ხსენებული თარგმანი პრემიის სახით გამოსცა ბერლინულმა ჟურნალმა ,,გაისტ დეს ოსტენს‘‘ (აღმოსავლეთის სული).

**ე. ნინოშვილის ნაწერები გერმანულად.** გერმანიაში ცნობილმა ფ. რეკლამის საგამომცემლო ამხანაგობამ ე. ნინოშვილის ,,გოგია უიშვილი‘‘ და ,,სიმონა‘‘ გამოსცა.

— ვაჟა-ფშაველას ,,გველის მჭამელი‘‘ გერმანულ ენაზე ლექსად უთარგმნიათ ახალგაზდა მწერალს კ. აბაშისპირელს და ბერლინელ ჟურნალ ,,აქციონის‘‘ თანამშრომელს გ. ტარნოვსკის. ,,გველის მჭამელი‘‘ მოკლე ხანში ფ. რეკლამის ,,უნივერსუმში‘‘ გამოქვეყნდება.

**კიევის უნივერსიტეტის** საექიმო ფაკულტეტი წელს გაათავეს შემდეგმა ქართველებმა: ნ. ალავიძემ, გ. გიუნაშვილმა, დარჩიაშვილმა, ზაქ. მაისურაძემ, მჭედლიშვილმა, დ. ოდიშარიამ, ი. ფუხაშვილმა, გაბრიჩიძემ, ჭალიძემ; მათემატიკური ფაკულტეტი ტარ. აბზიანიძემ გაათავა.

**ჩხეიძე და წერეთელი** მოსკოვიდან ცნობაა: კოალიციურ მთავრობის წევრებად სოციალ დემოკ. მეუმცირესენი ასახელებენ კარლო ჩხეიძეს და კაკი წერელელსაო. პირველს მიენდობა ჯარისათვის სურსათ სანოვაგის მიწოდება, მეორეს შრომის სამინისტრო.

**სოციალ დემოკრატ ავტონომისტების ახალი ბეჭვდითი ორგანო.** თბილისში გამოვიდა სოციალ—დემოკრატ ავტონომისტების ახალი გაზეთი „ალიონი.“ გაზეთს რედაქტორობს ბ-ნი პავლე საყვარელიძე.

**ძველი ჟანდარმები აგიტაციას ეწეოდენ.** 20 აპრილს მუშათა და ჯარისკაცთა ახალმა დროებითმა კომიტეტმა დაატუსაღა ძველი ჟანდარმები სიმ. ნასკოვი, სიმ. ლიჩმანოვი და სიმ. რუდიკოვი. ჟანდარმები ჯარში რეაქციონურ აგიტაციას ეწეოდენ.

**გაზ. „ბატუმსკია ვესტის“ დახურვა** ბათუმის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით დაიხურა გას. „ბატ. ვესტი“

**ფოსტა-ტელეგრაფის საქმეში კომისარის არჩევა.** ქუთ. აღ. კომიტეტმა თავის მხრივ ფოსტა—ტელეგრაფის კომისარად დანიშნა ა. კოსტავა.

**გადამდები ავადმყოფობა.** ამ ჟამად ქუთაისში გადამდები ავადმყოფობა, სახადი მძინვარებს.

**შემარიგებელი კამერა.** 20 აპრილს ქუთაისში დაარსდა შემარიგებელი კამერა.

**წელს ქუთაისის ქალების გიმნაზია** დაამთავრა შემდეგმა პირებმა: 1) დომნა ბაზაძე. 2) ოლღა ბოსოვა 2) ნინო ბაუმერტი (ოქროს მედლით). 4) თამარ გვარამაძე 5) ოლღა გორაუნოვა (ოქროს მედლით) 6) სალომე გარდაფხაძე (ოქროს მედლით) 7) ოლღა ჯავახაძე 8) ლიდა ჯავახაძე 9) მარიამ ჯავახია 10) ქეთევან ჯინჭველაშვილი 11) აგნესა ეზიკაშვილი (ოქროს მედლით) 12) ნინო იობიძე 13) ვანდა კოკოჩაშვილი (ოქროს მედლით). 14) მარიამ კერესელიძე (ოქროს მედლით) 15) პელაგია კოლესნიკოვა (ოქროს მედლით) 16) მარიამ კეშელავა 17) ანნა კუჭაიძე 18) მარიამ ქებულაძე 19) ემილია კრონტალ 20) ოლღა კოვალენკო 21) ვერა კანდელაკი (ოქროს მედლით). 22) თამარ ლეჟავა 23) ლილი მეუნარგია (ოქროს მედლით) 24) თამარ მეცხრიკაძე 25) თინა მიქაბერიძე 26) ალექსანდრა ფოფხაძე 27) მარგარიტა საყვარელიძე 28) ანნა საყვარელიძე 29) ოლღა სამხარაძე 30) ბარბარე სამთელაძე 31) თამარ თოფურია (ოქროს მედლით) 32) ნინო ჩიხლაძე 33) კირა ფეოდოროვა 34) ნინო ხვიჩია 35) ნინო ხუჩუა 36) ზინა ფა[illegible]ვა 37) ალექსანდრა ცაბაძე 38) [illegible]და შომახია.

**შეცდომის გასწორება.**

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ მე № 18 ახალ ამბებში: „მისალოცი დეპეში ვლერიან გუნიას“ შეცდომით არის: თავმჯომარე ა. გიორგაძე. უნდა იყოს: თავმჯდომარე **ტრიფონ ჯაფარიძე**.

რედაქციამ მიიღო მე-3 ნუმერი ჟურნალ „თავისუფლებისა“ (გამოდის ქუთაისში რ. ფანცხავას რედაქტორობით) შემდეგის შინაარსით: ლექსი აკაკისა, სიკვდილის ქანდაკება დია ჩიანელისაა, 27 თებერვალს ლექსი ვარდოშვილისა, „გიულიზაარ!“ ჯანდაბასი, სიზმარ-ცხადი გურულისა, ჩემი სალამი ხაბულიანისა, დამფუძნებელი კრება გულკეთილისა, მიმოხილვა ალესილისა, კრიტიკა აბრამიშვილისა და სხვა.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ქუთაისში მომხდარ უწესოების გამო 1 მაისის კრებაზე დაადგინა. ზიზღი და პროტესტი გამოუცხადოს ყველა იმ პირთ, ვინც უწესოების მოხდენაში მონაწილეობას მიიღებენ. დაპატიმრებულ იქმნას ყველა მავნე პიროვნებანი, რომელნიც ხალხში და ჯარში ამაღელვებელ ხმებს ჰყრიან, მიღებულ იქმნეს საერთო ზომები დეზერტირობის მოსასპობად.

**ავადმყოფობა.** 15 აპრილიდან 1 მაისამდი გადამდები ტიფით, ქუნთრუშით, სახადით და ყელჭივრებით ავად გახდენ 52 სული. აქედან გადაიცვალა 24.

**თბილისი**

**პოლიტეხნიკუმი** განათლების მინისტრმა დროებით მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი იმის შესახეებ, რომ მომავალი წლიდგან თბილისში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი გაიხსნას სამეურნეო საქიმიო, საჰიდრო, მექანიკო და საეკონომიო ფაკულტეტებით, ინსტიტუტში ქალებსაც მიიღებენ.

**სკოლების ნაციონალიზაცია.** თბილისის ყველა ტიპების სასწავლებელთა მასწავლებლების დელეგატთა კრებამ 28 აპრილის კრებაზე დაადგინა: მომავალ ენკენისთვიდანვე განხორციელდეს სკოლების ნაციონალიზაცია.

-- ვარლამ რუხაძის სტამბაში დაიბეჭ და ქართველ ქალთა საზოგადოების გამოცემა **„თამარ მეფე“**, თხზულება მ. გ. ჯანაშვილისა. გასაყიდად მზათ იქნება თამარობას, 1-ელ. მაისს.

**პროვინცია.**

**სოფ. სიქთარვა**—(ზემო იმერეთი). ყვირილის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით დაატუსაღეს ადგილობრივი მცხოვრები სიმონ ბარაბაძე, როგორც „ძველი მექრთამე“.

აქ დიდ გაჭირვებას განიცდის ხალხი, რადგან რკინის ხიდზე სიარული აკრძალა აღმასრულებელმა კომიტეტმა. საჭიროა ხალხს დაურიგდეს სათანადო მოწმობები, რათა ისედაც შევიწროებულ ხალხს შეძლება მიეცეს ისარგებლოს ხიდზე სიარულით, რადგან ეს მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

**უბედური შემთხვევა.** 23 აპრილს სადგ. მოლითის და მარელისის შუა ორთქლმავალი დაეჯახა ქვით დატვირთულ საქონლის მატარებელს და დაიმსხვრა. დამწვარია მემანქანე და მისი თანაშემწე. მძიმედ არიან დაშავებული ოთხი კონდუკტორი, ერთი დარაჯი და ერთი ბავში.

# უწესოებანი ქუთაისში

ქუთაისში ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა უწესოებანი, რომელთაც მეტად მწვავე ხასიათი მიიღეს 29 აპრილს. ამ დღეს 12 საათიდგან ფედერალისტების კლუბთან იწყეს თავის მოყრა ჯარისკაცებმა. თავდაპირველად მშვიდობიან მასსას თანდათან აღელვება დაეტყო, როგორც უკვე საკმაოდ ირკვევა, ბნელი ძალების ზეგავლენით, რომელნიც ათასგვარ ამაღელვებელ ჭორებს ავრცელებდენ. ჯარისკაცების დიდი გროვა ფედერალისტების კლუბში შეიჭრა და, რაკი იქ ფედერალისტების პარტიული დროშა ვერ ნახა, დაამსხვრია მინები ე. ი., როგორც გაზ. ,,გოლოს სოლდატა‘‘ ამბობს, ,,ნამდვილი პოგრომი მოახდინა‘‘. ჯარისკაცები ამის შემდეგ კლასიკურ გიმნაზიისაკენ გაემართენ სადაც ფედერალისტების ბიურო ეგუ[illegible]ოდათ, გაჩხრიკეს იქ საკლასო ოთახები, დირექტორის ბინა, გამოიტაცეს ფედერალისტების დროშა და შემდეგ ჯარისკაცთა საბჭოში მივიდენ. აქ დაუხვდათ ჯარისკაცებს სოც.-დემ. და სოც.-რევ. წარმომადგენლები, რომელთაც განუმარტეს შეკრებილთ, რომ ძალადობა პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ ჩირქსა სცხებს მათ, ვინც თავისუფალ მოქალაქის სახელს ატარებს, და უდიდესს საშიშროებას წარმოადგენს რევოლუციისა და თავისუფლებისათვის.

30 აპრილს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე გადასწყდა, ქალაქში წესიერების დასამყარებლად შესდგეს დროებითი კომიტეტი, რომელშიც შედიან პრაპ. სტარცევი, და ჯარისკაცები გოლდმანი და სამუსოვი და მუშათა წარმომადგენლები გრ. ურატაძე და ნიკ. ჰუმბურიძე. კომიტეტს გადაეცა სრული უფლება ყოველგვარ უწესოების მოსასპობად და მშვიდობიანობის დასამყარებლად ქალაქსა და მის მიდამოებში.

# ოთხივე სათათბიროს წევრთა კრება.

**როძიანკო.** ვრცლად შეეხო, თუ როგორ ბორკავდა და სამოქმედო ასპარეზს ართმევდა ძველი მთავრობა დათხოვნილ პირველ, მეორე და მესამე სათათბიროს. ორატორი ამბობს, რომ ასეთივე დევნას შევიწროებას განიცდიდა მეოთხე სათათბირო, რომელსაც წილად ხვდა რუსეთის თავისუფლების მეთაურობა. ომის კითხვის შესახებ როძიანკომ სთქვა; ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსეთმა თავისი ბუნებრივი მიწა წყალი დაჰკარგოს. სეპარატიულ ზავს რუსეთი ვერ დასთანხმდება. ომი ბოლომდის უნდა იქნას მიყვანილი, ამიტომ მე სრულიად ვიზიარებ დროებითი მთავრობის დეკლარაციას ომის კითხვის შესახებო. შემდეგ როძიანკო ეხება რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას და ამბობს: „რუსეთი განსაცდელშია, შინაური და გარეული მტერი არტყია. ამის მიზეზი ძველი წყობილებაა. ამიტომ შეერთებაა საჭირო, მხოლოდ ერთობა გვიხსნის. მძიმე საპასუხისმგებლო საქმე იკისრა დროებითმა მთავრობამ, მაგრამ ხალხის მოვალეობაა ამ მთავრობას მხარი მისცეს“. როძიანკო წინააღმდეგია, რომ მთავრობის მოქმედებაში სხვა ერეოდეს, საჭიროა რომ მთავრობა ნდობით იყოს აღჭურვილიო.

შემდეგ ლაპარაკობს მეორე სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი. ის აღნიშნავს, თუ რა დუხჭირ პირობებში უხდებოდა მეორე სათათბიროს მოღვაწეობა. გოლოვინი ამბობს, ის ძვირფასი მოსავალი, რომლითაც ახლა რუსეთი ამაყობს სწორედ წამებულმა და კატორღაში გაგზავნილმა სათათბიროებმა მოგვცესო. დღეს საჭიროა, ეს ძვირფასი მოსავალი მედგრად დაიცვას ყოველმა მოქალაქემ საჭიროა, თანხმობა, საჭიროა დროებითმა მთავრობამ გამოიჩინოს სახელმწიფური ენერგიაო“.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დი **ლვოვი** დროებითი მთავრობის სახელით მიესალმა საზეიმო ყრილობას დაადგინა, თუ რა საქმეები იქნა გაკეთებული 72 დღის განმავლობაში.

**გუჩკოვმა** ილაპარაკა არსებულ მდგომარეობის შესახებ და ხალხს შეერთებისკენ მოუწოდა, რადგან „სამშობლო განსაცდელშია“-ო.

**შულგინი** გამოდის სათათბიროს ზომიერ ჯგუფის სახელით და ამბობს, რომ დროებითი მთავრობისადმი ნდობის განმტკიცებაა საჭირო, თორემ იგი თუმცა ძველ მთავრობასავით პეტრე-პავლეს ციხეში არ ზის, მაგრამ „შინ“ კი არის დატუსაღებულიო“.

ტრიბუნაზე ადის **კაკი (ირაკლი) წერეთელი**. წერეთელს დიდის აღფრთოვანებით ეგებებიან. იგი ყრილობას მოუთხრობს, ძველი სათათბიროები იმიტომ ვერ ახორციელებდენ ხალხის იდეალებს, რომ მათ შორის თანხმობა იყოო.

დღევანდელ მომენტისთვის კაკი წერეთელს სახელმწიფოში თანხმობა მიუცილებელ პირობად მიაჩნია. წერეთელმა სთქვა, დღეს სახელმწიფოს ზე ინტერესებისთვის პროლეტარიატი თავის კერძო იდეალების განხორციელებას დასთმობსო. სხვა კლასებიც ასევე მოიქცევიან თუ არა, მე არ ვიცი“.

ამის შემდეგ კაკი წერეთელი ეხება ომის კითხვას და ამბობს, რუსეთის დემოკრატიული ჯარი თავის მკერდით აღიცავს გარეშე მტერთა იმპერიალისტურ ჯარისგან მოპოებულ თავისუფლებასო. რყევა რუსეთის ჯარში, სანამ იგი სამართლიანობისთვის იბრძვის, ყოვლად შეუძლებელიაო, თუ დღეს ფრონტზე ჯარი აღელდა შინიდან მოსულ გაუგებარ ამბით, ეს მოხდა სწორედ თავისუფლების მტერთა მეოხებით, რომელთა წინააღმდეგ შესაფერი ზომებია მიღებულიო.

# მომავალი ეროვნული სკოლის კითხვა.

ამა წლის 26—29 მარტის შემდგარ დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კრებამ მომავალი ეროვნული სკოლის დაარსებისთვის მრავალი საყურადღებო კითხვები წამოაყენა და ყველა დაკვირვებით, აუჩქარებლათ და ხმის უმეტესობით იქნა მიღებული და განმარტებული. უმთავრესი მუხლები დადგენილებათა გამოიხატა იმაში, რომ დაუყონებლივ გადაეყენებიათ სამსახურიდან ყველა დარგის სკოლების მართველი პირები სრული შემადგენლობით და მათ ადგილზე აერჩიათ ახალი; გაერთიანება სახალხო და სამრევლო სკოლებისა და მათი გადაბარება ერთი გამგეობის ხელში; სკოლების სრული ნაციონალიზაცია ყველა საგნების ქართულათ სწავლება და სხვა... ყველა დადგენილებათა სისრულეში მოყვანა კრებამ მიანდო საგანგებოთ არჩეულ კომისიას და ამ რიგათ გულდამშვიდებულნი დაბრუნდენ თავიანთ ბინებზე.

შეძლებს თუ არა ამ დავალების სისრულეში მოყვანას საგუბერნიო კომისია ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუმცა აგერ ერთი თვე გადის და გაკეთებული არაფერი არა სჩანს, რადგან ყველაზე მეტი საჩქარო საკითხი—გადაყენება ძველი მართველი წრეებისა—სისრულეში მოყვანილი არ არის: ინსპექტორები და საეპარქიო საბჭოები თავიანთ ადგილზე ბძანდება მოქმედებას ძველებურათ განაგრძობენ...

რაც შეეხება სახალხო და სამრევლო

...ენების კითხვა, ჯერ-ჯე... ...ინ ამისათვის იწუხებს ...როგორც ხმები დადის, სასული... ...ობა ვითომ უწ. სინოდის გან... ...ერ კი ნებულობს თავისი ...ლიდან გაშვებას და სურს ისევ მართოს და აწარმოოს სწა... ...ს საქმე.

...ო გამართლდა, ცხადია; ...მავალი ეროვნული სკოლე... ...ის საქმეს ნიადაგი გამოეცლე... ...ამ საქმის მოწყობა იმდენათ ...ღა საძნელო გახდება, რომ ...ი წელი გაივლის, სანამ ...ით ისეთ სკოლას, რაც დროის ...ათლეების სხივს შეიტანდა ჩვე... ...ობებასა და განვითარებაში; ... რომ სამრევლო სკოლები ...იცვით ბევრათ სჭარბობენ, ...ც ეროვნულათ სწავლა აღზ... ...სათ საჭიროა (პროვინცია), ...სკოლები უფრო გავრცელებუ... ...ებლად საჭიროა, რომ ამ გა... ...დი ყურადღება მიაქციონ სა... ...ოლების მასწავლებლებმა და, ...ხალხო სკოლების მასწავლებ... ...ლებენ ხმას ამ საქმის მოგვა... ...გვერდში ამოუდგებიან პირვე...

...ასულიერო სკოლები, რომლებ... ...და მოამზადოს მღვდლები და მე... ...ნეები, როგორც დასავლეთ ევრო... ...ანათლებულ ქვეყნებშია-ერთ გუბე... ...ში ერთი ან ორი იკმარებს: მღვდ... ...ისა და მედავითნეობის ხარისხის მი... ...მსურველთ იქ შეუძლიან მიიღონ ...ო სწავლა-განათლება; რაც შეეხება ...ო სჯულის სწავლებას, ამ საგანს, ...ეროვნულ სკოლებშიდაც საპატიო ...ოი ეკავება, და ნუ იფიქრებენ ჩვენი ...ერი მამები, რომ სარწმუნოება და ...გიური გრძნობა მომავალი სკოლე... ...განდევნილი იქნეს...

...ის ფიქრით, ამ კითხვას საფუძველი... ...მის, მაგრამ კიდევ ერთი თავსამ... ...ი საკითხი გვიდგია წინ, რომელიც ...აროთ მასწავლებელთა კრებას არც ...სენებია,-ეს გახლავთ ჩვენი მასწავ... ...ების მოუმზადებლობა და ეროვნუ... ...კოლისათვის ქართული ენის უცო... ...ობა; ამ საკითხს გაზ. „ერთობის“ ...ნომერიც შეეხო და ამბობს: „რაღა ...ლავია ბევრმა მასწავლებელმა ქა... ...იც კი არ იცის და ენკენისთვის ...ოვებას შიშით ელის – რა მეშველება ...რ ვასწავლო ბოვშებს ქართულიო“ ...ვა.,. და მართლაც ქართულს რომ ...ლი ქვიან – არა თუ ზოგმა, პირ... ...შემიძლია აღვიარო რომ პირველ... ...ითი სკ. მასწავლებლებმა ზედ-მიწე... ...ერთმაც არ იცის, და ვერავინ ...თებს ისეთ მასწავლებელზე, რომ ...მოდეს ქართული გრამატიკა, ქარ... ...ისტორია, მწერლობა და სხვა... ...დეც რომ არავინ იცოდეს, ვერ ...ხავთ, რადგან მათთვის ეს არავის ...ებია... ხოლო ეს კი ყველა საჭი... ...ართული ეროვნული სკოლისათვის ...უ გვსურს მომავალი სამოსწავლო ...ნ შეუდგეთ განახლებულ სწავლე... ...და მოვნახოთ ისეთი წყარო, რომ ...ადოთ ჩვენი მასწავლებელი ამავე ...ლზე – ან იგინი დავითხოვოთ და ...გილზე დავნიშნოთ სხვანი (მაგ. ...გიმნაზიაში კურს დამთავრებულე ...რამ ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ...თ იმ გარემოებას, რომ რამოდენი... ...სი კაცი უადგილოთ რჩება და ...ენ გიმნაზიას შეუძლიან შეავსოს ...დგილები.

...ი სიტყვით ცხადია, რომ უნდა ...დნოთ პირველ საშუალებას – მო... ...გაზაფხულზე მასწავლებელთა ქარ... ...ენის სასწავლო კურსები; მაგრამ ...რთი გარემოება გვედობება წინ – ...ებელთა სიმცირე... დღემდის თუ ...განყოფილებას სამი მასწავლებელი ...და – სად ვიშოვოთ რვა განყოფი... ...ი სკოლებისათვის ხუთი ან ექვსი ...ებელი?! აი სწორეთ ეს კითხვა... ...იოზული და მომენტის მიხედვით ...ქრებელი და სანამ დრო კიდევ ...გვაქს, სწორეთ ამას უნდა მიექ... ...რადღება ვისგანაც ჯერ არს...

ალ. ხარატიშვილი

## მოწერილი ამბები

**ს. უკანეთი** (ქუთაისის მაზრა). რევოლუციისაგან მოპოებული თავისუფლება დღითი დღე იზრდება და ღმავრდება. ადგილობრივ მართვა გამგეობაში თვით ხალხი ჩაება. აღდგომის კვირაში ს. უკანეთში ადგილობრივი მცხოვრები გლეხი კოსტა რუსაძე გაქურდეს, სულსა და ხორცს გარდა, საბრალო რუსაძეს, აღარასფერი აღარ დაუტოვეს ქურდებმა. ამ ამბავმა დიდი ჩოჩქოლი ასტეხა სოფლელებს შორის. დიდი და პატარა იმას გაიძახოდა, რომ დღეს ამისთანა საქმის ჩადენა თავისუფლების შეურაცყოფა არისო. დაფაცურდნენ ოცის თავები და ადგილობრივი ორგანიზაციის საშუალებით ქურდების კვალს მიაგნეს, ყველა ნაქურდალი ნივთები ს. ფარცხანაყანევში აღმოაჩინეს და მცირე გამონაკლისს გარდა, რომლის გაყიდვაც ქურდებს მოესწროთ, პატრონს დაუბრუნეს. ასეთივე ამბავი მოხდა, ამ ერთი კვირის წინეთ, ს. პატრიკეთში: ადგილობრივ ფერშალს ორმოცი თუმანი მოჰპარეს, ეს ოინბაობა მის ნამოჯაგირევს ჩაუდენია. პატრიკეთელმა კომისარმა მეორე დღესვე შეიპყრო ქურდი, ნაპარევი ფულები თან აღმოაჩნდა ქურდს. ფულები პატრონს გადასცეს და ქურდი სატუსაღოში მოათავსეს. ეს ყველა მისი ნიშნებია, რომ ჩვენ ხალხს თამამად შეუძლია თავის თავს უპატრონოს.

მ. ქუთათელი.

## კავკასიის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა.

(მეოთხე კრება)

კრება გაიხსნა ევ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. სახელმწიფო თეატრში კითხულობენ წინა კრებების ოქმებს. ოქმები კრებამ დაამტკიცა. კამათი გრძელდება დღიური საკითხის შესახებ. „თანამედროვე მომენტი და აქედან გამომდინარე ტაქტიკა“. ორატორების ყურადღება ორ უმთავრეს საკამათო საგნისკენ არის მიქცეული: (1 ბურჟუაზიის როლი დღევანდელ რევოლუციაში და (2 პარტიული ორგანიზაციების დაარსება ჯარში. ერთი რიგი ორატორებისა იმ აზრს ადგია რომ ბურჟუაზიას ყოველ რევოლუციაში შესაფერი როლი უთამაშნია და რუსეთშიაც ასეაო. ამიტომ მუშა და ბურჟუაზია, დროებით მაინც ერთად უნდა მოქმედობდესო, თორემ რევოლუციის მამოძრავებელი ძალები დაიქსაქსება და კონტრ-რევოლუცია გაიმარჯვებსო. სხვები წინააღმდეგი იყო ასეთი აზრის. ბურჟუაზია კონტრ-რევოლუციონურია და მათთან შეერთება მუშა ხალხს საფრთხეს უქადისო.

ჯარში პარტიული ორგანიზაციების შექნის მომხრენი მის აუცილებლობას აღნიშნავენ. ეს ჯარს დამფუძნებელი კრებისთვის და მომავალ ცხოვრებისთვის მოამზადებსო. ბევრიც იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ასეთი ორგანიზაციები ჯარის საერთო ინტერესს და დისციპლინას დაარღვევსო. ლომთათიძე და ცერცვაძე აღნიშნავენ სხვათა შორის, რომ პარტიული ორგანიზაციები საშიშია მეტადრე კავკასიის ჯარში, სადაც მრავალი ეროვნების წარმომადგენელნი არიან და აქ ეროვნული ინტერესები თავს იჩენს. და ეს კი ნაციონალურ შუღლს გამოიწვევსო. ამ საკითხის შესახებ კრებამ თვით მომხსენებლის, პაპოვის (ს.-დ.) რეზოლუცია მიიღო. ამ რეზოლუციით ჯარში პარტიული ორგანიზაციები უარყოფილია. კრებამ პრეზიდიუმისაგან შემუშავებული დეპეშები მიიღო და დაუგზავნა: კ. ჩხეიძეს, კერენსკის, პლეხანოვს და ჩერნოვს.

დღეის შემდეგ სხდომები დღეგამოშვებით მოხდება.

## ცნობა ჯარის კაცების შესახებ.

39 – არტილერიის 1-ელ პარკში ხუთ იანვარს 1917 წელში გარდაიცვალენ ტიფით ავათმყოფნი: გრიგოლ ტარიელის ძე გორგოშიძე და ლევან იულონის ძე ლომაძე. გორგოშიძე დასაფლავეთ სოფ. კარდჟალში ქ. მამახათუნიდან 27 ვერსის სიშორეზე ქ. ერზინჯანის გზაზე. ამხანაგებმა პატივი სცეს განსვენებულ გორგოშიძის საფლავს რკინის ჯვრის გაკეთებით. განსვენებული ლომაძე ჯერ ვერ გავიგეთ რომელ ლაზარეთში არის ნამყოფი და სად დაიმარხა, ოღონდ ეს ვიცით, რომ შტაბში ცნობა მივიღეთ, მოკვდაო.

განსვენებულებს პატივსაცემათ და მათ მოსაგონებლათ მათმა გულითადმა ამხანაგებმა, იაკინთე გოგუამ, არსენ მოქიამ, არტემ ჯანგიძემ, და დიანოსე აგლაძემ შეაგროვეს თავიანთ ამხანაგებს შორის ასი მანეთი, რომლის განაწილება და გაზეთის საშუალებით გამოქვეყნება მომანდვეს მე. გავანაწილე შემდეგ ნაირად: 65 მან. გავგზავნე გორგოშიძის ქვრივ-ობლების დასახმარებლათ; 15 მან. გაუგზავნე „ერთობის“ გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ; 14 მანეთი გადავედვი რკინის ჯვრების გასაკეთებლათ, რომელიც სასაფლაოზე ზედ წარწერით დაუსვით გორგოშიძეს; ლომაძის სასაფლაოს როცა გავიგებთ სად არის იმასაც დაუსობთ ასე, როგორც გორგოშიძეს; 15 მანეთი გადავეცით სოფ. სიროულის წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ, რომ მოვიგონოთ საყვარელი ჩვენი ამხანაგი ლევან ლომაძე.

ფულების გასაგზავნად და სხვა მიწერ-მოწერაში დაიხარჯა მანეთი და ერთი შაური. შემომწირველები არიან შემდეგი პირები: ი. ცერცვაძემ 3 მ., თ. ვასაძემ 3 მან. ორ ორ მანეთებიანი: 2 მ., ს. ჭეიშვილი, ი. ცისკარიძე, ი. ჭეიშვილი, თ. სალოქვაძე მ. თავბერიძე ვ. კომალაძე ა. კარგიშვილი, მ. მდინარაძე, გ. ლოდიამ, (ისევე გაიტანა) თითო მანეთებიანი 1, მ. ა. დემრხანოვი, მ. ლიაშენკო, გ. ალავიძე. ნ. ბლაგიძე, ანგიელ მაქიძე, პრ. მუსენკო, თ. ანდღულაძე ხ. ანასტოსოკი, ი. რუსიეშვილი, ბარნაბ გუჯაბიძე, მიხეილ აფხაზავა, კოწია დომორჯგინიძე, სამსონ ჯორბენაძე, სიმონ მარგალიტაძე, მარკოზ და ნესტორ ჩახვაძეები, გიორგი ტიგიშვილი, დათიკო კიზივაძე, ნოე ტუღუში, სარკის ასლამაზოვი, ლუკა ვასაძე, ლუკა ჩაკვეტაძე, ივანე ზოიძე, თეოფილე ზენაიშვილი, მოსე აბაშიძე, ევგენია ბგლაძე, ლადიმერ კუკულავა, იპოლიტე ხაჭაპურიძე, სოლომონ მესხაიშვილი, ვ. ძიმისტარაშვილი, ბასკაკოვი, ი. შტინოვიჩი, გოლბერგი მ. ს. თავდიშვილი, დ. კილაძე, ე. გუჯაბიძე ო. ხელაძე, მაროზოვ სტ. პ. პეტროსიანცი, ს. მესხიშვილი, ვ. მამულაიშვილი, ყარ. ქასრაძე, კ. გაპოჩენკო, ანტ. კვეგლის, დუნაევსკი, მ. ხალაძე, ალფ. გოგვაძე, ი. ტუქასოვმა ო. სარკისოვი, ი. გლუშიკაკი, მარდიანცი, ნ. თაბვრიძე, მ. სეფერთულაძე, კ. კილაძე, ერ. გელეკვა, ნ. ციცხვაია, არ. ჯანგიძე, ს. ლომაძე, მ. ხოფერია, ათ ათ შაურიანები: ა. კლასოვი, ზახარაიანცი. მ. ამრასუმოვი, მ. გოგიჩაიშვილი, სიმ. ხაჩანოვი, სიო ტუღუში, გ. უჩუნბერაშვილი, არ. მოქია. ი, ღლონტი, მ. კვაჰაძე, კ. მაკაროვი, მ. არუსტამოვი, ე. ზენაიშვილი ლ. ბოაგიძე, კ. სარჯველაძემ, ტერ კარაპეტოვი, მალი ტანგიევი, მარზა სტეპანოვი, ტ. ჯიხვაძე, მ. თიკარაძე, დ. წულუკიძე, მ. თავშავაძე, იკლიური, ხ. ჩხაიძე, ისმეტალოვი ნ. კლიმენტოვი, მ. კრიკოროვი, ხოფერია, ო. ფახაზავამ, გ. ზალოვი, ს. გოგიჩიშვილი, ვლ. საბაიშვილი, ტარ. პინიანცი. ს. ჩახვაძე, მ. შურვანიძე, ი. ფასიეშვილმა, ძმ. გრ. და ე. ჩახვაძეები, ე. ჩახვაძეები, ა. მახარაძე, ვ. ხაფთასი, გ. ნიშნიანიძე, ა. გოლუტანი, ლ. შეწირული, გ. გვეუჩაძე, ლუკა ტუღუში, 75 კ. ალ. და სილ. ვაშაკიძეები ხუთ-ხუთი შაური.

ზემოხსენებულების მონდობილობით

ჯ. კ. სერაპიონ ჭელიძე.

## რუსეთი.

**რა სთქვა იტალიის კონსულმა?**

მოსკოვში იტალიის სამეფოს კონსულმა რუსეთის თანამედროვე ყოფაზე სთქვა.

,,თუ რუსეთში არ აღდგინდება მშვიდობიანობა, იმ შემთხვევაში ინგლისი საფრანგეთ-იტალეთი რუსეთს თავს გაანებებენ და ჩამოსცილდებიან, ხოლო იაპონია დაიჭერს ციმბირის ტერიტორიას ურალამდე.

**85 პროც. რესპუბლიკელი ოფიცერი.**

პეტროგრადში ოფიცერთა საბჭომ დაამთავრა ანკეტის შედგენა, რომლის მიხედვით 85 პროც. ოფიცრობისა დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრეა, 14 პროც. შეზღუდულ მონარქიის და 1 პროც. სამხედრო დიქტატურის და აბსოლუტურ მონარქიისა.

**უმართებულეს სინოდში.**

ამ მოკლე ხანში უმართებულეს სინოდში განიხილავენ ჯვრის წერის და ცოლქმრობის გაყრის კითხვას.

**მეზღვაურთა პროექტი.**

ბალტის ფლოტის მეზღვაურები (მატროსები) რომლებიც დიდის ამბით შეეგებენ ლენინს, ამ ჟამად მის მოქმედების გამო მკაცრ პროტესტს აცხადებენ, და პეტროგრადში ატყობინებენ, ჩვენ რომ გვცოდნოდა ლენინი ასეთ მოღვაწეობას დაიწყებდა რუსეთში, მაშინ მას ზღვაში გადავაგდებდითო''.

**სამოსწავლო საქმე.**

ამ მოკლე ხანში გადასწყდება კითხვა, დაექვემდებაროს უნივერსიტეტები სამოსწავლო ოლქს, თუ ისევ განათლების სამინისტროს გამგებლობის ქვეშ დარჩეს.

— ერთერთ უნივერსიტეტის სტუდენტებმა განათლების მინისტრს სთხოვეს, რომ მათ ნება მისცემოდათ, დასწრებოდენ უნივერსიტეტის სამოსწავლო საბჭოს სხდომებს და მონაწილეობა მიეღოთ უნივერსიტეტის საქმეებში. განათლების მინისტრმა სტუდენტების თხოვნა არ შეიწყნარა.

— **პროვოკატორი.** ქ. სამარაში შეიპყრეს ვინმე მატვეევი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრად სთვლიდა თავს და ხალხში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა.

— მოსკოვიდან დეპეშით იტყობინებიან: ოქტომბრისტებმა გადაწყვიტეს, დამფუძნებელ კრების არჩევნებში კადეტებს მიემხრონ.

— მოსკოვიდან იტყობინებიან: სოციალ-დემოკრატების წრეებში განზრახულია საზღვარ გარეთ მოკავშირეებთან გაიგზავნოს საგანგებო დელეგაცია, რომელიც საზღვარგარეთელ ამხანაგებთან ერთად შეიმუშავებენ საზავო პირობებს.

**სოციალისტ-რევოლუციონერთა კონფერენცია.**

**ეკატერინოდარი.** აპრილის 25. სოციალისტ რევოლუციონერთა კონფერენციაზე გადასწყვიტეს: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ლიკვიდაციისათვის გამართონ მოლაპარაკება მთელი ქვეყნის სოციალისტებთან. დაარსდეს ყაზახთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო.

**საშიში ხმები.**

ცნობამ იმის შესახებ თითქოს ჯარის კაცთა პოლკებს დაეკავებინოს მარინის სასახლის შესასვლელები, პეტროგრადში დიდი მღელვარება გამოიწვია. დადიოდა ხმები თითქოს დროებითი მთავრობა დაჰერილიაო. ეს ხმები, როგორც მოსალოდნელი იყო ტყუილი გამოდგა.

**კერენსკი და წერეთლის სიტყვა.**

კერენსკისა და წერეთლის სიტყვის შესახებ „რუსკაია ვოლია“ ამბობს, რომ ამით თავისუფლდება რუსეთი იმ არა სასურველ მოვლენათაგან, რომლებმაც საკმაოთ თავი იჩინა მასში. ამით მან მოიშორა ასწლოვანი დესპოტიზმი და მიიღო უსაზღვრო თავისუფლება. ისეთი სიტყვები, როგორიც არის კერენსკისა და წერეთლის, მიაღწევს ხალხის გულის სიღრმემდი და იგი მას გამოეხმაურება.

## უცხოეთი.

**ომის გარშემო**

**პალესტინა.** ინგლის-საფრანგეთ-იტალეთმა პალესტინის დაპყრობა გადასწყვიტეს ამ მიზნის რეალურად განხორციელებას იგინი უკვე შეუდგენ. პალესტინას ზღვიდან და ხმელეთიდან დიდძალი ჯარი მიადგა და სანაპიროებს დაუშინეს.

**საერთაშორისო დემოკრატიის კონფერეცია.**

**ინგლისის** მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი განაცხადა სტოკჰოლმის მომავალი საერთაშორისო დემოკრატიის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ—ნო რედაქტორო

„ჩვენი ქვეყნის“ მე-13 ნომერში შემდეგი ფაქტია მოყვანილი, — თითქოს ქართველკათოლიკეთა კრებაზე მე უარი მეყოს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. მე გამოყვანილი ვარ მესვეურებათ იმ ხალხისა, რომელმაც დაიგრიალა: თუ პაპმა ნება არ დართო ლათინური წირვის ქართულათ გადმოთარგმნაზე, გვირჩევნია, ძველებურათ ლათინური გვქონდესო.

ამის შესახებ ვაცხადებ შემდეგს: მე მუდამ დარწმუნებული ვიყავი და ეხლაც მტკიცეთ დარწმუნებული ვარ, რომ პაპი უსათუოთ დაათანხმდება ლათინურ ტიპიკონის ქართულათ გადმოღებაზე, მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე მიცემული ყოფილა რომის ტახტიდან ამის ნებართვა, სახელდობრ 1635 წელს (იხ. თამარაშვ. ისტორ. კათოლ. გ. 111

მართალია, მე არ ვემხრობოდი ბერძნულ- ქართულ ტიპიკონს, მაგრამ მე სამაგიეროთ **ლათინურ** ტიპიკონს, კი არ ვთხოულობდი, არამედ ლათინურ ტიპიკონს ქართულ ენაზე გადმოთარგმნილს.

სტ. კომპანიონი.

რედაქტორ გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**


## იყიდება

საწოლი, დიდი სარკე, გარდერობი, ირმის რქები და სამოვარი.

კაზაკოვის ქუჩა, სახლი **პავლოვისა** იკითხეთ **გრინევისა**. ნახვა შეიძლება 3 საათის შემდეგ. 2—1.

## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | “ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის | — 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის | — 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით | — 5 ს. 20 | „ |


ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ვურჩევთ მიაშუროს ძმ. წულუკიძეების

## გოგირდის აბანოს

ს. ბუგეულსრაჭის მაზრაში, რომლის მუშაობა

განახლდა

პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფებისათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

აბანოს გამგე **ივანე სოხაძე.**